ლიზი ბენდელიანი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი

,,2024 წლის შემოდგომის სემესტრი ანკარაში, ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (METU) გავატარე Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. ეს იყო დაუვიწყარი გამოცდილება, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც ჩემს პროფესიულ, ასევე პიროვნულ განვითარებაზე.

METU-ს მაღალი აკადემიური სტანდარტები, ინტელექტუალურად მასტიმულირებელი ლექციები და საერთაშორისო სტუდენტებისთვის მეგობრული გარემო, უდავოდ ხელს მიწყობდა ცოდნის გაღრმავებაში, ამ პროგრამაში მონაწილეობით მივიღე უნიკალური გამოცდილება.

ანკარა თანამედროვე და ისტორიული ელემენტების საინტერესო ნაზავია, რაც მას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. აქ ყოფნისას მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდი თურქულ კულტურას, ხალხს და ტრადიციებს, ასევე შევხვდი ადამიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, მქონდა შესაძლებლობა გამეზიარებინა და გამეცნო საქართველოს ტრადიციები სხვა სტუდენტებისთვის.

Erasmus+ პროგრამამ მასწავლა, როგორ გავმხდარიყავი უფრო დამოუკიდებელი და ადაპტირებადი ადამიანი. ეს იყო უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ამ გამოცდილებამ კიდევ უფრო გამიღვივა სურვილი და მოტივაცია, რომ გავიღრმაო ცოდნა და მიღებული გამოცდილება ჩემი ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობას მოვახმარო.''